

თავი 6

სრული თვითღირებულებით დანახარჯთა აღრიცხვის სისტემა

1. თვითღირებულების დანახარჯი არის:

- ა. გარკვეული მიზნებისათვის გამოყენებული ფულადი რესურსების სიდიდე;
- ბ. გარკვეული მიზნებისათვის გამოყენებული რესურსების ფულად გამოსახულებაში წარმოდგენილი სიდიდე;
- გ. გარკვეულ პერიოდში გამოყენებული რესურსების ფულად გამოსახულებაში წარმოდგენილი სიდიდე.

2. მთლიანი საწარმოო თვითღირებულება მოიცავს:

- ა. პირდაპირ დანახარჯს მასალაზე, სამუშაო ძალის პირდაპირ დანახარჯს და საერთო სამეურნეო დანახარჯს;
- ბ. პირდაპირ დანახარჯს მასალაზე, სამუშაო ძალის პირდაპირ დანახარჯს, რეალიზაციის ხარჯს;
- გ. პირდაპირ დანახარჯს მასალაზე, სამუშაო ძალის პირდაპირ დანახარჯს, რეალიზაციის ხარჯს და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯს.

3. ამოარჩიეთ არასწორი მსჯელობა

- ა. კონვერსიის დანახარჯი მოიცავს პირდაპირ შრომით დანახარჯს + საერთო სამეურნეო დანახარჯს;
- ბ. კონვერსიის დანახარჯი მოიცავს უშუალოდ გამოყენებული მასალების მზა პროდუქტად გადაქცევისათვის აუცილებელ ყველა საწარმოო დანახარჯს;
- გ. კონვერსიის ხარჯი მოიცავს პირდაპირ შრომით დანახარჯს + პირდაპირ ზედნადები დანახარჯი + პირდაპირი მასალის დანახარჯი.

4. სრული თვითღირებულება მოიცავს:

- სრული საწარმოო თვითღირებულებას + რეალიზაციის ხარჯი + საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი;
- პირდაპირ შრომის დანახარჯს + ზედნადები დანახარჯი + პირდაპირი მასალის დანახარჯი + რეალიზაციის ხარჯი + საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი.

ზემოთ ჩამოთვლილი მსჯელობებიდან ეთანხმებით:

- ა. მხოლოდ 1-ლს;
- ბ. მხოლოდ მე-2-ს;
- გ. 1-ლს და მე-2-ს ერთად.

5. სრული თვითღირებულება არის:

- სრულ საწარმოო თვითღირებულებას + რეალიზაციის ხარჯი + საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი;
- კონვერსიის დანახარჯს + პირდაპირი მასალის დანახარჯი + რეალიზაციის ხარჯი + საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი.

ზემოთ ჩამოთვლილი მსჯელობებიდან ეთანხმებით:

- ა. მხოლოდ 1-ლს;
- ბ. მხოლოდ მე-2-ს;
- გ. 1-ლს და მე-2-ს ერთად.

6. გამოძინარე იქედან რომ თვითღირებულების (დანახარჯების) განსაზღვრა ყოველთვის კონკრეტული მიზნისათვის ხდება, შეიძლება თუ არა რომ დანახარჯთა ობიექტისათვის სრულ თვითღირებულებაში თავი მოიყაროს:

- ა. როგორც საწარმოო პირდაპირმა და არაპირდაპირმა დანახარჯებმა, ასევე რეალიზაციის და ადმინისტრაციულმა ხარჯებმა;
- ბ. მხოლოდ საწარმოო პირდაპირმა ხარჯებმა;
- გ. მხოლოდ საწარმოო პირდაპირმა და არაპირდაპირმა ხარჯებმა.

ამოცანა 1

კომპანია „ბაგი“ აწარმოებს ორი სახის პროდუქციას A-ს და B-ს. მოცემული გვაქვს სექტემბრის თვის ინფორმაციები. სექტემბრის დასაწყისში მასალის ნაშთები შეადგენს: X მასალა 12000 ლარი (1000 კგ) და Y მასალა 8000 ლარი (2000 კგ). ზედნადები დანახარჯების განაწილების კოეფიციენტი არის 8 ლარი/პირდაპირ კაცსათზე, რაც იმას გულისხმობს, რომ ზედნადები დანახარჯები პროდუქციას დაეწერება გეგმიური კოეფიციენტით, წინასწარ, ვიდრე ფაქტიური ზედნადები დანახარჯები იქნება დათვლილი (შეგახსენებთ: ყოველი ფაქტიურად ნამუშევარ კაცსათზე დაეწერება ზედნადები დანახარჯის გეგმიური ოდენობა 8 ლარი).

სექტემბრის თვეში მარაგი მოძრაობს შემდეგი თანმიმდევრულობით:

1. საწყობიდან წარმოებას გადაეცა 750 კგ X მასალა 1000 ცალი A პროდუქტის საწარმოებლად. ($750 \text{ კგ} * 12 \text{ ლ} = 9000 \text{ ლარი}$).
2. A პროდუქტის საწარმოებლად გამოყენებული იქნა 375 კაც/საათი. 1 საათის ანაზღაურება იყო 12 ლ. ($375 * 12 = 4500$).
3. საწყობიდან წარმოებას გადაეცა 900 კგ Y მასალა A პროდუქტის საწარმოებლად. ($900 \text{ კგ} * 4 \text{ ლ} = 3600 \text{ ლარი}$).
4. საწყობიდან წარმოებას გადაეცა 1000 კგ Y მასალა 2000 ცალი B პროდუქტის საწარმოებლად ($1000 \text{ კგ} * 4 \text{ ლ} = 4000 \text{ ლარი}$).
5. B პროდუქტის საწარმოებლად გამოყენებული იქნა 300 კაც/საათი. 1 საათის ანაზღაურება იყო 12 ლარი ($300 * 12 = 3600$).
6. კრედიტში შეძენილია 2000 კგ X მასალა, 1 კგ 13 ლარად. ($2000 * 13 = 26000 \text{ ლ}$)
7. კრედიტში შეძენილია 1000 კგ Y მასალა, 1 კგ 4,25 ლარად. ($1000 * 4,25 = 4250 \text{ ლ}$).
8. საწყობიდან წარმოებას გადაეცა 500 კგ X მასალა B პროდუქტის საწარმოებლად. (ვიყენებთ ფიფო მეთოდს).

წარმოებულია და საწყობში გადაგზავნილია 800 ცალი A პროდუქცია და 1500 ცალი B პროდუქცია. დაუმთავრებელ წარმოებაში დარჩენილ პროდუქციას დასამთავრებლად ესაჭიროება: A პროდუქციას 70 კაც/საათი და B პროდუქციას - 50 კაც/საათი.

სექტემბრის თვის ფაქტიური ზედნადები ხარჯი არის 5400 ლარი. (გამოიყენეთ მომწოდებლის კრედიტორული დავალიანების ანგარიში).

დავალება:

შეადგინეთ დანახარჯთა აღრიცხვის ბუღალტრული გატარების სქემა.